

## ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების სირთულეები\*

### თამარ დოლიძე

დოქტორანტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო  
tamarduta@gmail.com

### საკვანძო სიტყვები: პოსტინდუსტრიული საზოგადოება, კომმოდოფიციზაცია, პოსტკაპიტალიზმი

### შესავალი

საზოგადოების განვითარების ამჟამინდელი ეტაპი დღის წესრიგში აყენებს მრავალ პრობლემურ საკითხს. ჩვენ ამ პრობლემურ საკითხთაგან განვიხილავთ ერთ-ერთს. კერძოდ, რა სირთულეები ახასიათებს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების პროცესს. ამისათვის სტატიაში გავაანალიზებთ ცოდნისა და ინფორმაციის, როგორც ცნებითი კატეგორიის განსაზღვრებით ასპექტებს, გავმიჯნავთ არსებით განსხვავებებს მათ შორის. განვიხილავთ ცოდნის კომერციალიზაციის უძირითადეს პრობლემურ საკითხებს. გავაანალიზებთ ცოდნის საზოგადოების ძირითად მახასიათებლებს. განვიხილავთ ცოდნის ეკონომიკის შეფასების რაოდენობრივ პერამეტრებს. განვიხილავთ ინოვაციურ ეკონომიკას, როგორც ცოდნის ეკონომიკის ერთ-ერთ სახეობას.

საზოგადოებრივი ფორმაციული ფორმების უწყვეტ ცვლილებათა კონტექსტში განვიხილავთ ცოდნის ეკონომიკის როლისა და მნიშვნელობის საკითხებს.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს უმთავრესად ის, რომ კაცობრიობის სამეურნეო საქმიანობაში დიდი ხვედრითი წილი უკავია მომსახურების სექტორს და ეკონომიკური ზრდის დინამიკა მკვეთრად შემცირებულია ინდუსტრიულ პერიოდთან შედარებით, მაშინ როდესაც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში პოსტინდუსტრიული ფაზაა, რაც ნიშნავს სამეურნეო საქმიანობაში ცოდნის ეკონომიკის დომინანტურ პოზიციას.

საკითხი აქტუალურია უმთავრესად იმითიც, რომ როგორ გახდეს შესაძლებელი ცოდნის ეკონომიკის მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ეკონომიკის რეალურ სექტორში.


\* \* \*

განვითარებული ქვეყნები იმყოფებიან პოსტინდუსტრიულ ეტაპზე, რაც ბუნებრივად ნიშნავს ცოდნის ეკონომიკის დომინანტურ პოზიციას. საკითხი მეტად აქტუალური და პრობლემურია იმდენად, რამდენადაც ცოდნა უმრავლესი თეორიული პოსტულატების თანახმად განიხილება როგორც „შავი ყუთი“, „Black box“ (Stehr, 2001, p. 32, 61, 83).

\* კვლევის შედეგები მოსმენილ იქნა I ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე „ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება“

ძალზედ ულტრირებულად ცოდნა რომ განვმარტოთ, ის ნიშნავს რაიმეს შესახებ ინფორმაციის ქონას და რაიმე საქმის ან მოქმედების შესასრულებლად საჭირო ხერხების ფლობას. ამასთან კავშირში ნიშანდობლივია განვიხილოთ ამერიკელი განათლების ფსიქოლოგის ბენჯამენ ბლუმის ე.წ. „ბლუმის ტაქსონომია“.


სქემა №1.



წყარო: (Armstrong, 2002).

„ბლუმის ტაქსონომიაში“ საბაზისო დონე არის ცოდნა. ზოგადად საზოგადოების არსებობის ბაზისი ვახლავთ ცოდნა. ცოდნა არის უძირითადესი რესურსი, რომლის გარეშეც შეუძლებელია არსებობა. და მაინც რა არის ცოდნა? კაცობრიობის მიერ სამყაროსთან და ადამიანებს შორის ურთიერთობის შედეგად მიღებული გამოცდილება, რომლის განზოგადებაც გახდა შესაძლებელი ანუ ადამიანის მიერ გამოვლენილი ბუნებასა და საზოგადოებაში არსებული კავშირები არის ცოდნა. ამიტომაც დღეს მრავალი სხვადასხვა დარგის მეცნიერი შეთანხმდა იმაზე, რომ თეორიული ცოდნა არის ბაზისი ინოვაციების, ტექნოლოგიების, გამოგონებებისა და მეცნიერული აღმოჩენების.

ცოდნა სხვადასხვანაირია და ის, თავისი ბუნებით, ეკლექტურია. ინფორმაცია ცოდნის ერთ-ერთ კომპონენტს შეადგენს და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია ცოდნა არ არის. განსახილველად შემოგთავაზებთ ცოდნის ზოგად სქემატურ მოდელს.



სქემაზე მოცემულ დონეებს შორის ლოგიკური ურთი-  
ერთკავშირი წარმოქმნის ცოდნას. ეს გახლავთ ცოდნის  
ზოგადი მოდელი, რომელიც არის საფუძველი ყოველგვარი  
ცოდნის.

ქართულენოვან ლიტერატურაში ცოდნის განმარტების  
შესახებ ვკითხულობთ:

ა) ცოდნა წარმოადგენს გარკვეული ფასეულობების,  
ცნებების, მიდგომების, წესების, ნორმების, მეთოდების,  
გამოცდილების, ჩვევების, შესაძლებლობების, ხერხების  
ერთობლიობას, კომპლექსს;

ბ) ცვლის ჩვენს წარმოდგენას, ამცირებს გაურკვევლო-  
ბის არსებულ ხარისხს;

გ) ხასიათდება ინტერპრეტაციით, სტრუქტურულობით,  
ურთიერთკავშირით;

დ) ექვემდებარება აღქმას, გაგებას, შეფასებას, კო-  
რექციას, გადაცემას;

ე) ემსახურება განსაზღვრული მიზნების მიღწევას,  
გარკვეული ამოცანების გადაწყვეტას (დემეტრაშვილი და  
სხვ., 2004: 15-17).

ფუკოს მოსაზრების მიხედვით ცოდნა არ ოპერირებს  
ვაკუუმში. ცოდნა ოპერირებს გარკვეული სტრატეგიების  
საშუალებით, განსაკუთრებულ სიტუაციებში, ისტორიულ  
კონტექსტში და ინტერსუიორ რეჟიმში (ასათიანი, 2008:38).

ამდენად ცოდნისა და ცოდნის ეკონომიკის, როგორც  
ცნების მეცნიერული შესწავლის დონე დღეის მდგომარეობით  
მეტად სუსტი გახლავთ.

ჩვენ შევეცადეთ, შეგვემუშავებინა ცოდნის განსაზღვრება  
და ცოდნის ზოგადი სქემატური მოდელი.

ნიშანდობლივია, განვიხილოთ ცოდნა, როგორც პრო-  
დუქტი/საკუთრება. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ცოდნის,  
როგორც პროდუქტის უნიკალური თვისება. ის სხვა პრო-  
დუქტით კონზუმციას არ განიცდის/მოხმარების პროცესში  
არ ნადგურდება (Stehr, 2001:58). ანდრე გორცის მოსაზრე-  
ბით ცოდნა არ არის ორდინარული პროდუქტი მისი ღირებუ-  
ლება შეუფასებელია, მისი გავრცელება ამაღლებს ნაყო-  
ფიერებას, პრივატიზება კი ამცირებს მას და ეწინააღმდეგება  
თავის არსს (Gorz, 2004: 65).

ნიკო შტეპრისა და ანდრე გორცის მოსაზრებები  
გასათვალისწინებელი ფაქტორებია ცოდნის კომერციალი-  
ზაციის ანუ კომმოდოფიცირების პროცესში, მაშინ როცა  
ცოდნა საჯარო ღია საკუთრებაა. აქვე უნდა აღინიშნოს  
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO-ს) TRIPS — შე-  
თანხმება ინტელექტუალური საკუთრების სავაჭრო ასპექტე-  
ბის უფლებების შესახებ, რაც ქმნის დამოუკიდებელ სვეტს  
რომელიც იწოდება „ინტელექტუალური საკუთრების და-  
ცვადა“, რომლის საშუალებითაც ხდება განვითარებადი  
სახელმწიფოების ეკონომიურ-პოლიტიკური შეფერხება.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნა, რომელიც ადამია-  
ნისეული კაპიტალის ერთ-ერთი უძირითადესი რესურსია და  
ამდენად ძირითადი ფიზიკური კაპიტალია, და ამავდროულად  
დეფიცირდება. ეკონომიკური პერსპექტივიდან კი ცოდნა  
კონტრპროდუქტიულია, მაშინ როდესაც ცოდნაზე დგას  
წარმოება, განაწილება, მოხმარება, დაგროვება. კომმოდო-  
ფიცირების თვალსაზრისით ჩნდება მრავალი პრობლემა  
კერძოდ:

ა) ცოდნის ღირებულება შეუფასებელი კატეგორიაა მისი  
ბუნებიდან და არსიდან გამომდინარე;

ბ) ცოდნა ეკონომიკური პერსპექტივიდან კონტრა-  
პროდუქტიულია.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები თითქმის შეუძლე-  
ბელს ხდის ცოდნის კომერციალიზაციას.

ადამიანისეული კაპიტალის თეორია დასავლეთის განათ-  
ლების დარგის ყველაზე გავლენიანი ეკონომიკური თეო-  
რიაა, რომელიც წარმოიშვა 1960-იანი წლების დასაწყისში  
მთავრობის პოლიტიკის ფარგლებში. აღსანიშნავია ის გა-  
რემოება, რომ დასავლეთის ქვეყნებში ადამიანისეული  
კაპიტალის თეორიის მიხედვით განათლება უშუალოდ ეკონო-  
მიკურ სფეროს უკავშირდება.

ლუი გარიკანოსა და ესტებან როსი-ჰანსბერგის თეო-  
რიაში ნებისმიერი ინსტიტუციის ორგანიზება ენდოგენური  
ფაქტორია და მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საკომუ-  
ნიკაციო ტექნოლოგიის მდგომარეობაზე. საკომუნიკაციო  
ტექნოლოგიების სრულყოფა საშუალებას აძლევს სხვადასხვა  
პროფესიის ადამიანებს, უარი თქვან დამოუკიდებელ  
საქმიანობაზე და ითანამშრომლონ ერთმანეთთან. რატო-  
მეა მნიშვნელოვანი ლუის გარიკანოსა და ესტებან როსი-  
ჰანსბერგის თეორია? მრავალი ასპექტით არის მნიშვნე-  
ლოვანი, მაგრამ ამათგან ძირითადია ის, რომ აღნიშნული  
თეორიით შესაძლებელია შევისწავლოთ იერარქიების სა-  
კითხი სხვადასხვა პროფესიის მუშაკებისადმი და აქედან  
გამომდინარე ხელფასისადმი მოთხოვნის შედეგები.

ამასთან საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სრულყოფა  
ნებას რთავს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, უარი  
თქვან დამოუკიდებელ საქმიანობაზე და ითანამშრომლონ  
ერთმანეთთან.

აღნიშნული თეორიის ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძ-

ლია ვთქვით, რომ კომუნიკაციის ღირებულების შემცირებასთან ერთად მუდმივად იზრდება დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშების ხელფასები, მაღალი კვალიფიკაციის მუშებისა და მენეჯერების ხელფასებს კი, რომლებიც წარმატებებს აღწევენ იმის მიხედვით, თუ როგორ ახერხებენ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, ახასიათებს შებრუნებული U ფორმის ცვლილება.

ამგვარად, ადამიანისეული კაპიტალის თეორია და ლუის გარიკანოსა და ესტებან როსი-ჰანბერგის თეორია საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან კავშირში ემყარება ისეთ ლიკვიდურ რესურსს, როგორცაა ცოდნა.

ადამიანისეული კაპიტალი შეესაბამება ცოდნის მარაგს. ადამიანისეული კაპიტალის თეორია დაფუძნებულია ცოდნის მარაგზე და, კერძოდ, მომუშავეთა ცოდნის მარაგზე, რომელთა ქმედებები მიმართულია საქმის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 1776 წელს, ადამ სმიტის ცნობილ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ ჩამოყალიბდა საფუძველი ადამიანისეული კაპიტალის თეორიის შესახებ.

ადამიანისეული კაპიტალის, როგორც ტერმინის პოპულარიზაცია უკავშირდება გარი ბეკერსა და იაკობ მინსერს. ასევე აღსანიშნავია თეოდორე შულცის წვლილი ამ თეორიაში. ადამიანისეული კაპიტალის თეორია გულისხმობს ცოდნის მარაგს, ჩვევებს, სოციალურ და პიროვნების ატრიბუტებს, მათ შორის კრეატიულობას, რომელიც განსახიერებელი უნდა იყოს იმ უნარებში, რომ მომუშავეებმა სამუშაო გააკეთონ ისე, რომ აწარმოონ მზარდი ეკონომიკური ღირებულება.

მნიშვნელოვანია, შევეხოთ ინფორმაციის ეტიმოლოგიურ ასპექტს. ის ლათინური სიტყვაა და „გაცნობას“, „გადაცემა“ ნიშნავს.

ცოდნის ერთ-ერთი კომპონენტია ინფორმაცია. ინფორმაცია, რომ ცოდნის საბაზისო ელემენტია, ამას ადასტურებს ი. შრეიდერის მიერ სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი ტერმინი „თეზაურუსი“ ანუ (ცოდნის საგანძური). განვიხილავთ მეცნიერთა მიერ ინფორმაციის, როგორც ცნების განმარტებებს.

ნ. ვინერის აზრით, ინფორმაცია არც ენერგიაა და არც მატერია, არამედ გარემომცველ სამყაროსთან შეგუების პროცესში მიღებული შეტყობინებებისა და ფაქტების ასახვაა (Винер, 1958: 3).

უ. ეშბის განმარტებით, ინფორმაცია არის ის, რაც აღმოფხვრის განუზღვრელობას და იზომება იმ განუზღვრელობის რაოდენობით, რომელსაც იგი სპობს (Эшби, 1959: 254–255).

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აგრეთვე ა. ბერგის, ვ. შენონის, ვ. გლუშკოვის, ი. იუზვიშინის, ნ. მაკაროვას განმარტებები ინფორმაციის შესახებ.

ინფორმაციის ჩვენიული განმარტება შემდეგი გახლავთ ინფორმაცია არის ადამიანის მიერ ასახული სამყაროსა და საზოგადოებაში მომხდარი ფაქტები. ვინაიდან სამყარო

მუდმივად ცვალებადია და ასევე ცვალებადია საზოგადოება ამდენად ცვალებადი კატეგორიაა ცოდნა და ინფორმაცია. ნიშანდობლივია, შევეხოთ ინფორმაციის ეკონომიკურ მხარეს, კერძოდ, ისეთ აქტუალურ საკითხს რამდენადაა ინფორმაცია წარმოების ფაქტორი? *სინამდვილეში ინფორმაცია წარმოების უმნიშვნელოვანესი რესურსია და არა ფაქტორი* (Papava, 2017).

ინფორმაცია თავისი არსით ფაქტების ასახვაა, ხოლო ცოდნა ფაქტების სისტემური ანალიზის საფუძველზე მიღებული აზროვნების ზედა დონის პროდუქტია.

დენჰა გრეის მოსაზრებით ცოდნა ადამიანის გამოცდილებასთან, კომპეტენციასთან, იდეებთან, ინტუიციასთან, ვალდებულებებთან და მოტივაციასთან ერთად ინფორმაციის და მონაცემების სრულ გამოყენებას წარმოადგენს. რა განსხვავებაა ცოდნასა და ინფორმაციას შორის?

ცოდნა ეს არის ინტელექტუალური თუ ფიზიკური საქმიანობის უნარი, შესაძლებლობა. ამგვარად, ცოდნაში ვგულისხმობთ კოგნიტურ შესაძლებლობას. ინფორმაცია აყალიბებს სტრუქტურულ, ფორმატირებულ მონაცემებს, რაც ინარჩუნებს პასიურ და ინერტულ მდგომარეობას მის გამოყენებამდე.

ამგვარად ცოდნაც და ინფორმაციაც ადამიანის აზროვნების პროდუქტია და ამდენად გახლავთ სუბიექტური და პირობითი. არსით ცოდნა და ინფორმაცია ძირითადად იდენტურია, უბრალოდ განსხვავებაა აზროვნების დონეებს შორის. ინფორმაცია აზროვნების ქვედა დონის პროდუქტია, ხოლო ცოდნა აზროვნების ზედა დონის.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას ცოდნის საზოგადოებასაც უწოდებენ. ცოდნის საზოგადოება არის ისეთი საზოგადოება, რომელიც ქმნის აქციებს და იყენებს ცოდნას თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის. ცოდნის საზოგადოებაში ფუნდამენტურ რესურსებს წარმოადგენს ცოდნა, ცოდნის პროდუქტი და ტექნიკური სიახლეების დანერგვა. ასეთი საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სწავლასა და ინოვაციებს, გლობალიზაციასა და მდგრად განვითარებას. ცოდნის საზოგადოება დაფუძნებულია „სწავლა-სიახლე-ახალი ტექნოლოგიები-კვლევა“ სისტემის ძირითად კავშირურთიერთობებზე. ტექნოლოგიური პროგრესი დამოკიდებულია ცოდნისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

ცოდნის საზოგადოების უძირითადესი მახასიათებლების — სწავლა, სიახლე, ახალი ტექნოლოგიების — კვლევის ფუნდამენტი გახლავთ ცოდნა. ნიშანდობლივია განვიხილოთ მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული ცოდნის ეკონომიკის შემდეგი ჩარჩო:

1. ეკონომიკური და ინსტიტუციური რეჟიმი, რაც უზრუნველყოფს შესაბამის გარემოს უკვე არსებული და ახალი ცოდნის და წარმოების ეფექტიანი გამოყენებისათვის;

2. განათლებულ და დახელოვებულ საზოგადოებას, რომელიც შექმნის აქციებს და ცოდნას გამოიყენებს მართებულად;

3. ადინამისეულ ინფორმაციულ ინფრასტრუქტურას, რაც ხელს შეუწყობს ეფექტიან კომუნიკაციას, ინფორმაციის გავრცელებასა და პროცესირებას;

4. ეფექტიანი ინოვაცია ფორმების, საკვლევო ცენტრების, უნივერსიტეტების, საკონსულტაციო და სხვა ტიპის ორგანიზაციებისა ზრდის გლობალური ცოდნის მარაგს, ახდენს მის ადგილობრივ საჭიროებებთან ადაპტაციას და ქმნის ახალ ტექნოლოგიებს.

ცოდნის ეკონომიკა ხასიათდება ინფორმაციისა და ცოდნის სწრაფი ცვლილებით მომსახურებისა და წარმოების სფეროებში. ცოდნის ეკონომიკის გაზომვა შესაძლებელია მთლიანი შიგა პროდუქტის ინდიკატორზე დაყრდნობით. მთლიან შიგა პროდუქტში მიზანშეწონილია გავანალიზოთ შემდეგი მაჩვენებლები:

- ა) ცოდნის წარმოების ხარჯები;
- ბ) ცოდნის აქციები და მიმდინარეობა;
- გ) გაიზომოს ცოდნის შედეგი;
- დ) გაიზომოს ცოდნა და შესწავლილ იქნას ადამიანი-

სეული კაპიტალი.

ცოდნის ეკონომიკის მთავარი ელემენტია ცოდნა. ხოლო ინფორმაცია, კვლევა, განვითარება და ინოვაცია ცოდნის მნიშვნელოვანად მხარდამჭერ მოვლენებად გვევლინებიან. კვლევა და განვითარება შეუძლებელია ტექნოლოგიების გარეშე. ტექნოლოგია კი ცოდნის ეკონომიკის საწყის ეტაპს წარმოადგენს. რთულია რაოდენობრივი პარამეტრებით გავზომოთ ცოდნის ეკონომიკა, რადგანაც თავად ცოდნის გაზომვაა რთული.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ცოდნის საზოგადოების შესახებ გარკვეული თეორიული მოსაზრებები, თუმცა არსებობს მისი აღსრულებისთვის საკანონმდებლო, ფინანსური, სტატისტიკური, ინსტიტუციური პრობლემები განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ზემოთ აღნიშნული საკითხები ჩანასახოვან მდგომარეობაშიც კი არ გახლავთ. ცოდნის ეკონომიკა არის ბაზისი ინოვაციური ეკონომიკის, რომელიც სხვა არაფერია თუ არა კრეატიული იდეების პრაქტიკაში დანერგვის შედეგი. მენეჯმენტის კლასიკოსის პიტერ დრაკერის თვალსაზრისით ინოვაცია მიჩნეულია ბიზნესის განვითარების უმთავრეს ინსტრუმენტად (Drucker, 1999: 79-83).

ინოვაციების ხელშეწყობა ევროპაში აღიარებულია სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედად, რადგანაც მრავალკომპონენტური ინოვაციური პოტენციალი განაპირობებს ქვეყნების წარმატებას. მნიშვნელოვანია ამ კონტექსტში განვიხილოთ საქართველოს მდგომარეობა.

2015-2016 წლების „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში“ მიხედვით ინოვაციური შესაძლებლობით საქართველოს 121-ე (149 ქვეყანას შორის) ადგილი უკავია, რაც განპირობებულია:

- ა) უმაღლესი განათლების ხარისხით (101-ე ადგილი);
- ბ) ქვეყანაში წარმოებული კვლევების ხარისხით (119-ე ადგილი);

გ) მეცნიერებაში ნიჭიერი კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების შესაძლებლობით (117-ე ადგილი);

დ) საუნივერსიტეტო მეცნიერების არასაკმარისი დაფინანსებით (133-ე ადგილი);

ე) კომპანიების მიერ დაკვეთილი კვლევების მოცულობით (127-ე ადგილი);

ვ) უნივერსიტეტებისა და წარმოებების თანამშრომლობის ინტენსივობით (128-ე ადგილი) (GCR, 2016).

ინოვაციური პოტენციალით საქართველო ბევრ ქვეყანას ჩამორჩება, მათ შორის თავის უშუალო მეზობლებსაც (იხ. ცხრილი 1).

### საქართველოს მეზობელი ქვეყნების „ინოვაციური პოტენციალის“ რეიტინგი

პაულ ადლერის აზრით, ცოდნის ინტენსივობის ზრდის ცხრილი 1.

ქვეყანა	რეიტინგი
საქართველო	121
აზერბაიჯანი	53
სომხეთი	87
რუსეთი	84
თურქეთი	83

წყარო: (მაჭავარიანი, 2017: 8).

ტენდენცია ამჟამად მყარ საფუძველს სავარაუდო ახალი ფორმის საზოგადოების პოსტკაპიტალისტური ფორმის საზოგადოების შექმნისათვის; ამასთან ავითარებს მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ცოდნის ინტენსივობის ზრდა თუროგორ განაპირობებს მაღალი ნდობის ინსტიტუციური ფორმების ჩამოყალიბებას, რაც უფრო რეალისტურს ხდის საზოგადოების პოსტკაპიტალისტური ფორმის ფორმირებას (Adler, 2001: 215).

### დასკვნა

ზემოთ განხილული საკითხების შედარებითი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, თუ რა არის ის უძირითადესი სირთულეები, რომლებიც ართულებენ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებას. ამასთან დაკავშირებით:

1. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებისთვის არ არსებობს შესაბამისი სისტემური თეორიული ბაზა;

2. სამეცნიერო ლიტერატურაში არა გვაქვს ცოდნის, ინფორმაციის, ცოდნის ეკონომიკის მეტ-ნაკლებად სრულყოფილი განმარტება;

3. რთულია ცოდნის, როგორც პროდუქტის რაოდენობრივი პარამეტრებით შეფასება;
4. ცოდნა თავისი არსითა და ბუნებით შეუფასებელი რესურსია;
5. კომპლექსური სირთულის გახლავთ ცოდნის კომერციალიზაცია;

6. განვითარებული ქვეყნებიც კი მომსახურების სექტორის ზრდის ტენდენციას ავლენენ.
7. გლობალური ეკონომიკის ფაქტობრივი მდგომარეობა აცდენილია ეკონომიკურ კანონზომიერებებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი, მ. (2008). კულტურის სოციოლოგია. თბილისი, „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“.
2. დემეტრაშვილი კ, გურგენიძე ვ, გოგიჩაიშვილი დ, გვარჯალაძე მ,ბარამიძე ი, ხაჩიძე ვ, თანხან-მოურავი დ, ესებუა კ, მიქაძე-ჩიკვაძე ა, წულაია ნ, წულაია მ. (2004). საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო პროგრამა. თბილისი, “ გაეროს სახლი“.
3. მაჭავარიანი, შ. (2017). „საქართველოში ინოვაციური პოტენციალის ზრდის ხელშემწყობი პირობები“. კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, № 8.
4. Adler, P. (2001). „Market, Hierarchy and Trust: The knowledge economy and the future of capitalism.“ Organization Science, No. 2.
5. Armstrong, P. (2002). “Blooms Taxonomy.” The Vanderbilt University Center for Teaching, <<https://cft.vanderbilt.edu/guides-sub-pages/blooms-taxonomy/>>.
6. Drucker, P. (1999). Management Challenges for the 21st century. New York: R&I Enterprises Int.
7. Papava, V. (2017). “ On Production Factors.” Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 11, No. 4.
8. GCR (2016). The Global Competitiveness Report 2015-2016. Geneva: World Economic Forum, <[http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global Competitiveness Report 2015-2016.pdf](http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global%20Competitiveness%20Report%202015-2016.pdf)>.
9. Gorz, A. (2004). Wissen, Wert und Kapital. Zur Kritik der Wissensökonomie. Zurich.
10. Stehr, N. (2001). Wissen und wirtsschaften.Die gesellschaftlichen Grundlagen der modernen Ökonomie. Frankfurt am Main.
11. Винер, Н. (1958). Кибернетика и общество. Москва: «Иностранная литература».
12. Эшби, У. (1959). Введение в кибернетику. Москва. «Иностранная литература».

## DIFFICULTIES IN FORMING A KNOWLEDGE-BASED ECONOMY

### TAMAR DOLIDZE

PhD student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

tamarduta@gmail.com

**KEYWORDS:** POSTINVENTURIST SOCIETY, COMMODIFICATION, POSTCAPITALISM

### SUMMARY

In scientific literature there is no defining explanation and no relevant theoretical model of knowledge and information. Consequently, the definition of the knowledge economy is very eclectic and vague.

As a result of the research, we have presented the definition and the general schematic model of knowledge and information.

Knowledge is a product that is hard to define due to its nature, which makes it difficult to determine its value.

It is natural when it is difficult to determine the value of the knowledge as a product it is actually impossible to commercialize it. There is also no adequate statistical mechanism for assessing the knowledge economy.

The issue has been insufficiently studied scientifically both in theoretical and quantitative parameters' point of view.

All these and other factors complicate the formation of a knowledge-based economy in developed countries. As for developing countries, in the best case there are only discussions on these issues.